პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 55 (18297) კვირა, 7 მარტი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

„წითელი შაბათობა“ გვიხმობს

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის უქსოვი მასალების ფაბრიკაში დიდნაყოფიერი შრომისათვის ბრძოლის ქმედითი სტიმული გაჩდა ვ. ი. ლენინის დაბადების 112-ე წლისთავისადმი მიძღვნილი შაბათობისათვის მზადება.

საწარმოში გამართული კრების მონაწილეებმა ვალდებულება იკისრეს 17 აპრილს გამოუშვან 35 ათასი მანეთის პროდუქცია. ეს სამი ათასი მანეთით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივ დღეს აწარმოებენ. მასობრივი მოთხოვნის საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილი დამზადდება დაზოგული ნედლეულისა და მასალისაგან. (საქინფორმი).

თბილისის ქაკარდული ქსოვილების ფაბრიკის კოლექტივმა ლენინური შაბათობის მაღალ დონეზე მოწყობისათვის ამთავითვე დაიწყო მზადება. 17 აპრილს სამუშაოზე გამოვა 500 მუშამოსამსახურე. ისინი განსაკუთრებული ენთუზიაზმით აშრომებენ სხვადასხვა უბანზე. ფაბრიკაში ამ დღეს 20 ათასი მანეთის პროდუქციას დამზადებენ. გარდა ამისა, დასუფთავებენ საწარმოს ტერიტორიას, დარგავენ ასობით ხესა და ბუჩქს. საწარმოში გამოშუშავებული სახსრებიდან 800 მანეთს ხუთწლიანის ფონდში გადარიცხავენ.

ამ დღეს ერთ კარგ საქმესაც ჩაიყრება საფუძველი, ახალგაზრდობა მოაწყობს სპორტულ მოედანს.

ყაზახი. რაიონის მშრომელებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოსკოვის მოწინავე კოლექტივების პატრიოტულ ინიციატივას მოაწყონ 17 აპრილს კომუნისტური შაბათობა. შრომითის კოლექტივებში ეწყობა კრებები, რომლებზეც კისრულობენ ვალდებულებებს — შაბათობის დღეს იმუშაონ უმაღლესი შრომის ნაყოფიერებით. მაგალითად, ვრცელი პროგრამა დაისახა თემქმის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა.

— შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 600 კაცი, — [illegible] ბეთა მეურნეობის დირექტორმა [illegible] ტატიანა შვეიცერმა. [illegible] ბარი გაანგარიშებით, [illegible] „შაბათობის“ დღეს ისინი შეასრულებენ 3200 მანეთის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს, ხუთწლიანის ფონდში გადარიცხავენ 600 მანეთს.

გადიდებული ვალდებულებები აკისრეს ავრეთვე სოფლების ოკამის, ქვათაბევრის, ქვემოქალის, ზემო ხანდაკის, სამთავისის კოლმეურნეობების, ახალქალაქის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა. კომუნისტური შაბათობის მზადებისა და მოწყობის რაიონული შტაბის სხდომაზე დაუხუსტეს ამ დღეს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა. კერძოდ, გადაწყვეტეს საგაზაფხულო კულტურები დათესონ 15 ჰექტარზე, ბოსტნეული — 31 ჰექტარზე, შეშამლონ 120 ჰექტარი ხეხილის ბაღები, დარგონ 1000 ხე. (საქინფორმი).

ეკონომიკური მუშაობის სულისკვეთება

ერსასახლოვარი მოვლენებით დაიწყო წლევანდელი გაზაფხული. თითქოს სიმბოლოურია, რომ სსრ-ში პირველ მარტს — გაზაფხულის ამ პირველ დღეს ჩაიბარა საქართველომ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის შეცხრე დრშა, რომ ამ სასიხარულო ამბისადმი მიძღვნილი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე საქართველოს მშრომელთა არა მარტო ერთი წლის გარჯა-ნაღვაწი შეფასდა, ამასთან განისაზღვრა კიდეც მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წელსა და შემდგომ წლებშიც ახალ თვალსაზრისო წარმატებათა მოლოდინის გზები და საშუალებანი.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის შემდეგ, მეორე დღესვე გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა, რომელმაც ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს მიერ გასულ ნელს განეული მუშაობის კონკრეტული საკითხები განიხილა, დასახა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის ამოცანები, ამასთან ერთსულოვნად მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნერილი რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელისადმი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მე-10 წლისთავის გამო.

ყველასათვის ნათელი და გასაგებია ამ მოვლენათა ლოგიკური კავშირი. დიახ, შესრულდა ათი წელი თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ცნობილი დადგენილების მიღების დღიდან და ჩვენმა რესპუბლიკამ ზედიზედ მეცხრედ მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ნითელი დროშა. მართალია, ეს საპატიო ჯილდო საქართველოს მაშშანდელი მაჩვენებლების მიხედვით მიენიჭა, მაგრამ იგი ერთბაშად არ მოსულა, იგი ამ ათი წლის მანძილზე ჩვენი პარტიული ორგანიზაციების თანაშემდეგრული ორგანიზატორული და ოპერატიული საქმიანობით არის განმტკიცებული.

აი რატომ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზეც ირკვეოდნენ სხვა-ბაასი გაიმართა პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების შედგომი სრულყოფა-გაუმჯობესების საკითხებზე. შეძენილ დიდ გამოცდილებასთან ერთად ობიექტურად და პრინციპიულად, კრიტიკულად და თვითკრიტიკულად ითქვა ამ მხრივ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე.

როგორც პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე დროშის გადაცემისას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ბ. მარჩუკის სიტყვაში, ჩვენი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზ. პატარაძის მოხსენებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. შევარდნაძის ვრცელ საბოლოო დასკვნაში ყველა სხვა მონაწილეთა გამოსვლებში, ისე პლენუმზე ეკეთქმული ანგარიშნა ის მთავარი და სასიხარულო ტენდენცია, რომ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებები და მასთან დაკავშირებული ღონისძიებანი ტრადიციულად, რესპუბლიკის ცხოვრების ნორმად გვექეა.

ძნელია ყოველივე მიღწეულის ჩამოთვლა, მაგრამ მარტო ის რად ღირს, რომ შარშან, წინა, 1980 წელთან შედარებით, სამრეწველო წარმოების მოცულობა 5,1 პროცენტით გაიზარდა, რომ დავალების გადამტანები გამომვებულია 134 მილიონი მანეთის ნაწარმი. გადავარჩენთ შესრულდა ელექტროენერგიის წარმოების, ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების, ავტომობილების, ტრაქტორების, ფეხსაცმლის და ბევრი სხვა ნაწარმის გამოშვების დავალებანი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროფუქციის ხარისხი.

სწორედ შარშან, უამინდობის პირობებში, დაბზადებულია 525 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 797 ათასი ტონა ყურძენი, 258 ათასი ტონა ციტრუსი, დიდძალი ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ოვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული კაპიტალურ მშენებლობაში, ტრანსპორტზე, ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში...

ღღეს კვლავ ქმაყოფილებით ვიხსენებთ იმათ, ვინც შარშან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სოციალისტურ შეჯიბრებაში. საკავშირო გარდამავალი ნითელი დროშებით დაჯილდოდნენ ფეხბურთის ასს რესპუბლიკა, ქალაქები თბილისი და ქუთაისი, ბოგდანოვკის, გურჯაანისა და მახარაძის რაიონები, 32 სამრეწველო, სამშენებლო, ტრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ორგანიზაციის კოლექტივები.

სწორედ შეჯიბრების მონინავეების, საუკეთესო შრომითი კოლექტივების მიღწევები კვლავ ცხადად, თვალნათლივ მოწმობს, თუ რა უდიდეს ძალად იქცევა საქმისადმი გულმხურვალე და შემოქმედებითი დამოკიდებულება, ის მაღალი შეგნება, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები დიდი მუყაოთობით დღენიადაგ უნერგავენ თითოეულ კომუნისტს, თითოეულ მშრომელს.

ბაგრამ, როგორც აქტივის კრებაზე და პლენუმზე ითქვა, ყველა დიდი პასუხისმგებლობით, ინიციატივიანად და გერგილიანად როდი ირჯება. ჯერ კიდევ ბევრია ჩამორჩენილი სანარმო, მეურნეობა, ორგანიზაცია. ხშირად ადამიანთა ინიციატივას აფერხებს წარმოების დაგეგმვასა და ორგანიზაციაში, მართვის სფეროში არსებული ნაკლოვანებანი.

არავითარი შელამაზება არ სჭირდება დღევანდელ ვითარებას, სხვადასხვა სიძნელის გამო შექმნილ მდგომარეობას. საჭიროა ყველგან დავგმოთ თვითკმაყოფილების, გულარხეინობის განწყობილება. ვინ არ იცის, რომ მომდინარე ხუთწლედში მთელ ქვეყანასთან ერთად ჩვენს რესპუბლიკას გაცილებით რთული და მასშტაბური ამოცანები აქვს გადასაწყვეტი. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაუსახა ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას, ის არის, რომ „უახლოეს წლებში საქართველო უნდა დანინაურდეს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი არსებითი მაჩვენებლის მიხედვით“.

განსაკუთრებით რთული მოჟღნები გვაქვს დასავლეთ სოფლის მეურნეობაში. რა თქმა უნდა, ქვეყნის მოწინავე პოზიციებზე გასვლა ხანმოკლე პერიოდის საქმე არ არის, მაგრამ ისიც პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად ჯერ კიდევ ბევრი რეზერვი გამოუყენებელია.

ნაკლი, ხარვეზი, ეგრეთ წოდებული „ვინრო ადგილები“ თითქმის ყველა დარგში, მუშაობის ყველა უბანზეა. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სხვა სასარგებლო ინიციატივებთან ერთად მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის ინიციატივას „თითოეული სანარმო — დარგის, რესპუბლიკის, ქვეყნის საუკეთესოთა შორის!“.

ჯერ კიდევ ბევრგან სათანადოდ არ იყენებენ შრომითს რესურსებს, უყაირათოდ, პირდაპირ მფლანგველურად ეკიდებიან ნედლეულისა და სამობილ-ენერგეტიკულ რესურსებს. მაგალითად, როგორც პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ითქვა, მნიშვნელოვანი რაოდენობით გადასახარჯს შავი ლითონების ნაგლინნი რუსთავის მეტალურგიულ და ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნებში, თბილისის ჩარხსაშენებელ სანარმოო გაერთიანებაში, სოხუმის გაზის აპარატურის საექსპერიმენტო და ბათუმის „ყოფმანქანის“ ქარხნებში, აგრეთვე სხვა სანარმოებში.

დღეს, როგორც არასდროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას. და სადაც უნდა მიმდინარეობდეს ეს პროცესი — მრეწველობაში, მშენებლობაში თუ აგრარულ-სამრეწველო კომპლექსში — ყველგან უნდა ჩანდეს პარტიული ორგანიზაციების გონივრული მზრუნველობა, მათი ორგანიზატორული უნარი, პრაქტიკული დახმარების ხელი. მაგრამ, ამასთან, ერთი ნუთითაც არ უნდა იკარნონ მთა სამეურნეო ორგანოების მაგივრობა, არ დაუშვან ნვრილმანი მეურვეობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის სულისკვეთებაც ხომ ის არის, რომ ყველგან, ჩვენი საქმიანობის ყველა რგოლში დამკვიდრდეს გერგილიანი მუშაობის, ჯანსაღი შემოქმედების ატმოსფერო, კიდევ უფრო განვითარდეს კომუნისტებისა და ყველა მშრომელის ინიციატივა და თაოსნობა.

ეყრდნობოდე აქტივს, კომუნისტებს, მშრომელთა ფართო მასებს, იცოდე მათი აზრი და ამ აზრით ხელმძღვანელობდე შედეგიანი გადაწყვეტილების შემუშავებაში — ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური საქმიანობის სტილი. სწორედ ამ პრინციპით მუშაობას მოითხოვს იგი საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტებისაგან, თითოეული პარტიული ორგანიზაციისაგან.

თვით პლენუმზეც საკითხების განხილვა ასეთი დემოკრატიული პრინციპით წარიმართა. მოსსენებას, რომელიც წინასწარ დაეგზავნათ პლენუმის მონაწილეებსა და პარტიულ კომიტეტებს, ასობით კომუნისტი გაეცნო და მასში აღძრულ პრობლემებზე მრავალი საყურადღებო წინადადება გამოითქვა. პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დროის რაციონალურად, ეფექტიანად ხარჯვის, საშემსრულებლო დისციპლინისა და საშემსრულებლო კულტურის, პარტიის ძირეული რგოლების ავტორიტეტის შემდგომი ამაღლების, თანამედროვე ხელმძღვანელის პარმონიული ჩამოყალიბების, ინფორმაციის გაუმჯობესების, შრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი უფრო მზრუნველი, ყურადღებიანი დამოკიდებულების და სხვა დიდმნიშვნელოვან პრობლემებს.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია: „პარტიის კურსი — საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის, ხარი ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლების კურსი მოითხოვს მაღალ ორგანიზებულობას, საქმიან მიდგომასა და დისციპლინას, მართვის სისტემის მწყობრ და შეთანხმებულ ფუნქციონირებას, მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას“.

ახლა მეტად მნიშვნელოვანია მივაღწიოთ, რომ თითოეულმა ნათლად გაიგოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებისა და V პლენუმის სულისკვეთება, იპოვნოს თავისი ადგილი სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მებრძოლთა საერთო მწყობრში.

ცეცხლოვანი პროფესიის ადამიანი

პირველი „მილიონერი“ — ასე უწოდებენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეს ო. ლომძეს. მუშაობის მეოთხედი საუკუნის მანძილზე მან თავის პირად ანგარიშში ყველაზე ადრე ჩაიწერა მილიონი ტონა გამოდნობილი ფოლადი, მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის დამდეგიდან კი ეგგმის გადაჭარბებით გამოადნო 500 ტონაზე მეტი ლითონი.

ოთარ ლომძეს დიდი ავტორიტეტი აქვს ქარხანაში. ჩქარაოსნული დნობის ოსტატს, თავის ცეცხლოვან პროფესიაზე შეყვარებულს, შესანიშნავ დამრიგებელს უნარი აქვს დაჩქარებული შრომისათვის დარაზმოს თავისი ბრიგადა.

მეტალურგის პროფესია საგვარეულო გახდა ლომძის ოჯახში. ეჯაფ ალექსანდრე საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტის დიპლომანტია, ქალიშვილი მანანა კი ქარხნის ლაბორატორიაში მუშაობას უთავსებს ამავე ფაკულტეტზე სწავლას.

ოთარ ლომძეს პატივს სცემენ ქარხანაში თავდადებული, შემოქმედებითი შრომისათვის, მუშაობის ჩინებული მაჩვენებლებისათვის. ბევრი რუსთაველი მეტალურგი მუშობს მისი მეთოდით.

დაფასება შრომის მიხედვით, იგი არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება აქვს მინიჭებული.

ქარხნის პროფკავშირული კომიტეტის წევრს ოთარ ლომძეს დიდი ნდობა აღმოუჩინეს — მეფოლადე არჩეულია სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობის დელეგატად.

ხუთასზე: ოთარ ლომძე და მომავალი მეტალურგები, რუსთაველ № 15 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები.

ს. ედიშერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობის დელეგატები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

1981 წელს კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ასამოქმედებლად გაჩაღებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები 1981 წელს კაპიტალური შენებლობის ობიექტების ასამოქმედებლად გაჩაღებული შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს:

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით

№№ 3 და 14 ტრესტები; № 2 მექანიზაციის ტრესტი; რუსთავის სახლთსაშენებელი კომბინატი; საწარმოო გაერთიანება „მშენდეტალი“.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით

№№ 4 და 10 ტრესტები; № 74 მოძრავი მექანიზებული კოლონა; № 9 ტრესტის № 7 სპეციალური მოძრავი მექანიზებული კოლონა.

აღინიშნა, რომ კარგად მუშაობდნენ ბრიგადების კოლექტივები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ცალკეულ უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით

№ 1 ტრესტისა — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბრძოლის რეკონსტრუქციაზე;

— რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში ახალ სიმძლავრეთა აგებაზე;

№ 2 ტრესტისა — თბილისის საცდელი ქარხანა „აგრეგატის“ საწარმოო კორპუსის შენებლობაზე;

№ 4 ტრესტისა — ჭუთაისის საავტომობილო ქარხნის ნახევარმანქანებისეული კორპუსის შენებლობაზე;

№ 9 ტრესტისა — ახალციხის რაიონული საავადმყოფოს შენებლობაზე;

№ 11 ტრესტისა — ცხინვალის ტრიკოტაჟის საცეცების ფაბრიკის შენებლობაზე;

№ 13 ტრესტისა — თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კორპუსის შენებლობაზე.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით

№ 6 ტრესტისა — თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკის შენებლობაზე;

№ 14 ტრესტისა — ახალქალაქის ყველი-კარაქის ქარხნის შენებლობაზე;

№ 7 ტრესტისა — ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხნისა და ოჩამჩირის ელევატორის შენებლობაზე;

რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეშენისა“ — გომბორეთის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქეული მეცხოველეობის კომპლექსის, ზესტაფონის მებოცვრეობის ფერმის შენებლობაზე.

საქართველოს სსრ საუნენ ბასალთა მრეწველობის სამინისტროს ხაზით

საწარმოო გაერთიანება „საქარამფეულის“, თბილისის საუნენ მასალათა კომბინატის, თბილისის კერამიკის კომბინატის, სამთო და გეოლოგიური-საუნენ სამეშაოთა სამმართველოს, „საქმონტაჟსპეცრემშენის“ ტრესტისა.

„საქმოთაპარმონტაჟსპეცშენის“ ხაზით

ტრესტებისა: „საქმექანმონტაჟი“, „საქელექტრომონტაჟი“, თბილისის სამმართველოსი, „საქმრეწვგამართვის“, „მრეწველეტლიკისა“.

სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხაზით

„საყველექტროქსელშენის“ ტრესტისა, „თბილისგაზრისშენის“ სამმართველოს, „საქმიდროენერგოშენის“ ტრესტისა, ინჟშენის სამშენებლო სამმართველოსი.

საპროექტო ინსტიტუტების ხაზით

საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის, თბილისის ეკსპერიმენტალურ დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, „მმიმემრეწველპროექტის“, „სიდრაპროექტის“ თბილისის განყოფილების, „საქსახპროექტის“, „თბილქალაქპროექტისა“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით და დიპლომებით დაჯილდოდნენ მაღალი მაჩვენებლებისათვის **სამრეწველო დანიშნულების** ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემაში — მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტი; **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა** — სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტი; **სახანო მშენებლობის ობიექტებისა** — რუსთავის სახლთსაშენებელი კომბინატი; **ქიმიის ობიექტებისა** — მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტი; **სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებისა** — „თბილისგაზრისმშენის“.

აღინიშნა, რომ საექსპლოატაციოდ გადასაცემი ობიექტების ამოქმედებისათვის არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ:

მშენებლობის სამინისტროს ხაზით — №№ 2, 5, 6 ტრესტები და „სპეცმშენი“, ბზიფის ეკსპერიმენტული სახლთსაშენებელი კომბინატი.

სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით — №№ 1, 2, 3, 7 და 14 ტრესტები.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით — „ვარდადინის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა.

საქმთავარმონტაჟსპეცშენის ხაზით — „საქსანტექმონტაჟის“ ტრესტის სოხუმის სამმართველო. (საქინფორმი).

ეკონომიკური პრობლემების ხარისხი და ქმედითობა

ალგა-ათაბეგი, ბაკაში, ეორონეკში, ნოეოსიბირსკში, ოდესაში, სვერდლოვსკში, ტალინსა და ტაშკენტში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პარტიული კომიტეტებისა და პოლიტორგანოების ლექტორთა სემინარებმა.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის, სკკპ XXVI ყრილობის, „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიის საგარეო პოლიტიკის აქტიური საკითხებზე მოხსენებები და ლექციები წაიკითხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკმა, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა, ლიტერატორისა და ხელოვნების მოღვაწეებმა და მეცნიერებმა.

სექციებსა და სასწავლო ჯგუფებში მოეწყო გამოცდა-ლექციის გაზიარება, თუ როგორ მუშობენ პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა განხორციელებისათვის. დიდი ყურადღება დაეთმო 1982 წლისა და მოღიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის შესრულების იდეოლოგიური უზრუნველყოფის საკითხებს. განხილულ ლექციური პროპაგანდის შემდგომი სრულყოფის, მისი ქმედითობის, იდეურ-თეორიული და მეთოდიკური დონის ამაღლების გზები.

სემინარების მონაწილეებმა ლექციები წაიკითხეს შრომითის კოლექტივებში, მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ მეგობრობის ინტერნაციონალურ საღამოებში.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პარტიული კომიტეტებისა და პოლიტორგანოების ლექტორებმა ყელთადიდი მაღალმა გადაუხადეს სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს იდეოლოგიური მუშაობის საკითხებისადმი უდიდესი ყურადღებისათვის, პროპაგანდისტად კადრებზე მუდმივი ზრუნვისათვის. (საკეთილო).

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘ — ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ

ᲛᲝᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ გურჯაანის რაიონის მშრომელთა წვლილი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის მიერ მოპოვებულ ცხრაკეი გამარჯვებაში. შარშან გურჯაანელებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 159 ათასი ტონა ყურძენი — გეგმაზე 24 ათასი ტონით მეტი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს მათ ბოსტნეულის, ბოჩეულის, სოფლის მეურნეობის სხვა კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დავალებანიც. რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების წმინდა მოგებამ დაახლოებით 10 მილიონი მანეთი შეადგინა.

გურჯაანელთა ეკონომა საქმეებმა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს საშშოლოს მაღალი შეფასება დაიმსახურა. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში „გამარჯვებისათვის მათ რაიონს მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც გურჯაანში გაიმართა.

რაიონის წარმომადგენლებს წითელი დროშა გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ჭითაიშვილმა. მან გულთბილად მიულოცა გურჯაანელებს საპატიო ჯილდო.

კრებაზე გამოვიდნენ პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი ნ. შინჯიკაშვილი, სოფლის ჩუმლიაულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორგზის ლენინის ორდენოსანი ვ. ეტიკაშვილი, გურჯაანის მვეფხაზოვნის სახელობის მეურნეობის კომკავშრომელ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. გუგალაშვილი და სხვები.

კრების მონაწილეებმა მოიწონეს რაიონის ყველა მშრომელს ღირსეულად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი, ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავი.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝ გაერთიანება „ბილოსრძეში“ საქართველოს სხვადასხვა რაიონში განლაგებული თექვსმეტი ყველა-კარაქის ქარხანა შედის და პროდუქციით ამარაგებს რესპუბლიკის ბევრ ქალაქს. თითქმის 38 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა გაერთიანებამ შარშან. იგი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს.

გაერთიანების კლუბში ვაიმართა საზეიმო კრება, რომელზეც შეიკრიბნენ ყველა მისი საწარმოს მუშაკნი, რათა მიეღოთ საპატიო ჯილდო.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა ტ. ჩოტაშვილმა გაერთიანების წარმომადგენლებს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, უსურვა კოლექტივს ახალი, უფრო მნიშვნელოვანი მიღწევები.

მისი შრომის ესოდენ მაღალი შეფასების პასუხად გაერთიანების ათასზუთასიანმა კოლექტივმა კრებაზე იკისრა მომდინარე წლის გადადებული სოციალისტური ვალდებულებანი.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝ გაერთიანება „საქნავთობის“ მრავალათასიან კოლექტივს დღესასწაული აქვს. ხუთწლედის პირველი წლის შუშობის შედეგებისათვის იგი დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და შეტანილია სსრ კავშირის სახელო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დიპლომ.

შთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში გამართულ საზეიმო კრებაზე გაერთიანების კოლექტივს ჯილდო გადასცა სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრის მოადგილემ გ. პოპოვმა, რომელიც საქართველოს მენავთობეებს ახალი შრომითი წარმატებებში უსურვა.

კრებას ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ტატიანა შვეიცერის ხელმძღვანელობა.

ᲛᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗ

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲘ

Ზ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲗ

საბჭოთა ადამიანების, მთელი პროგრესული კაცობრიობის მხურვალე გამოხმაურება და მზრდელური გამოწვევა შვიდოლის მეზეზარე მოწოდების სიტყვებმა, რომელიც პარტიის XXVI ყრილობაზე გაისმა, სკკპ ლენინური კურსმა, ამან მოწმობს საბჭოთა კომუნისტების ყრილობისადმი, დაბადების 75 წლთან დაკავშირებით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი მიძღვნილი სამახსოვრო სარეკვერები და ბოლოვბანი, რომელთა გამოფენა 4 მარტს გაიხსნა ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში.

200-ზე მეტი ექსპონატი გაკეთებულია ოქტომბრის სამშობლოს ბიოგრაფიის სახელოვან ფურცლებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უდიდეს ავტორიტეტს, პარტიისა, რომელიც მაღლა აღარებს პროლეტარიელ ინტერნაციონალ ი ზ მ ი ს დროშას, სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სამელმწიფოთა ხალხების უარეგვეგ მეგობრობას. ლენინის პარტიის, პირ

ᲮᲐᲜᲓᲝᲙᲚᲔ ᲡᲘᲛᲐᲠᲯᲣᲚᲘ

„პატივცემულო რედაქციავ! ორი ათეული წლის წინათ ჯუვიშის სახოფლო საბჭოში (ამბროლაურის რაიონი) შემავალი მოსახლეობისათვის აშენდა წყალსადენი. კოლმეურნეთა ოჯახებში აჩუქრაფდა სასმელი წყლის წყალი. ჯუვიშელებისა და ქვიშარელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველივე ეს ხანმოკლე გამოდგა.

მას შემდეგ, რაც ჯუვიშის კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობად გადაკეთდა, წყალსადენის მოვლა-პატრონობა შესუსტდა. მილგაყვანილობის ქსელი დაიფანტა და გაფუჭდა. დიდი ხანია, მოსახლეობა მშრალ ონკანებს შეჰყურებს. ამის შესახებ სად არ მივწერეთ, ვის არ შევახვედრინეთ, მაგრამ არსაიდან ხმა, არსით პასუხი...

ახლა, როცა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები უდიდეს ყურადღებას აქცევენ მოიანი რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ჯუვიშელები რატომ უნდა ვიყოთ გამონაკლისნი?“

წერილს ხელს აწერენ ამბროლაურის რაიონის სოფელ ჯუვიშის მცხოვრებლები: ნ. ჯინჭარაძე, ჯ. ყურაშვილი, ვ. ჯინჭარაძე, გ. გადბაძე და სხვები — სულ 57 კაცი.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ. ამ მწვავე სიგნალის შესასწავლად სოფელს ვეწვეთ. საბჭოთა მეურნეობის მმართველებთან საუბარში გამოიჩაკვა, რომ უწყლობით შეწუხებულებს ანალოგიური საჩივრები არაერთხელ გაუგზავნიათ რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში. ადგილობრივება გზებიმა „კომუნიზმის დროშამ“ 1979 წლის 21 აგვისტოს ერეკლი წერილი დაბეჭდა სათაურით „წყალში გადაყრილი ათასები და უწყლოდ დარჩენილი მოსახლეობა“. რედაქციამ ამხელა საბჭოთა მეურნეობის მაშინდელი ხელმძღვანელები, რომლებმაც ნაცელად იმისა, რომ წყალსადენის ქსელი შეეკეთებინათ, იოლი გზა აირჩიეს — დაიწყო მეურეობის ფერმაში ყოველდღიურად ავტომანქანებით საჭირო წყლის მიბმდვა... მდგომარეობა არც „გზეთის ერიტეული გამოსვლის შემდეგ შეცვლილა.

მოსახლეობა, მეცხოველის ფერმა და ელტესაყოფაცხოვრებო დაწესებულებები წყლით რომ დაკმაყოფილდნენ, საჭიროა წყალსადენის მთავარი მაგისტრალის ლითონის მილების შეცვლა 3 კილომეტრზე. ამისათვის კი ჯერ კიდევ აბხილა საბჭოთა მეურნეობის მაშინდელი ხელმძღვანელები, რომლებმაც ნაცელად იმისა, რომ მეურნეობას არა აქვს მშენებლობისათვის საჭირო თანხები. ყოველივე ეს დიდად ართულებს სოფლის მეცხოვრებთა წყლით უზრუნველყოფას.

ვფიქრობთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა გამონახავენ საჭირო მატერიალურ რესურსებს სოფლის წყალსადენის ქსელის აღსადგენად, ჯუვიშელთა სამართლიანი ნებისა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

Თ. ᲪᲘᲠᲘᲥᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ

ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ᲒᲐᲖᲗᲘ „კომუნისტის“ მკითხველი თ. ყანჩაველი თავის წერილში უკმაყოფილებას გამოთქვამდა ქალაქ თბილისის 28-ე პოლიკლინიკის ექიმის ნ. დგებუაძის მიმართ.

ამ წერილის გამო ქალაქ თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველის უფროსმა ი. შენაღარშვილმა რედაქციას აცნობა: თ. ყანჩაველის განცხადებაში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა. 28-ე პოლიკლინიკის ექიმი ნ. დგებუაძე უპასუხისმგებლოდ მოეკიდა თ. ყანჩაველის მკურნალობის საკმეს, არ გასინჯა იგი, არ მისცა სათანადო სამკურნალო დანიშნულება და არ გაიფორმა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტები.

ავადმყოფს უუფრადღებოდ მოეკიდა, სამედიცინო დაბმარებისათვის არ მიიღო საჭირო ოპერატიული ზომები პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილემ (ექსპერტიზის დარგში) ი. შონიამ.

ქალაქ თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს ხათანადო ბრძანებით, ექიმებს ი. შონიას და ნ. დგებუაძეს უპასუხისმგებლობისათვის დაედოთ მკაცრი დისციპლინური სასჯელი.

ᲞᲘᲠᲝᲒᲘᲗ ᲓᲐᲥᲝᲓᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲖᲔ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეები რედაქციას სწერდნენ, ხელფასს დანიშნულ დროზე არ გვაძლევენო. ამის თაობაზე პარტიის ლანჩხუთის რაიკომის „პირველმა მდივანმა ბ. კაკულიამ რედაქციას აცნობა:

განცხადებაში მოყვანილი ფაქტი დადასტურდა. ლანჩხუთის რაიონის ხახალო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებელო საბჭოს ტექნიკურ-ეკონომიკურ ბიუროს ბ. ფურცელაძეს გამოუცხადა საყვედური, ხოლო გამგე-მეშუფეტს ვ. ამუღაძეს მოუთითა.

აგრეთვე გაცნობებთ, რომ მიიაკოკუსის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საეკუთრეთა ინსპექტორს ე. ფურცელაძეს ამხელა ინსპექტორს ე. ფურცელაძეს ინსპექტორს ე. ფურცელაძეს ამისათვის, რომ ვაკეთინარა მიმხილებელი წერილის შემოწმება, ჩვენი წარდგენებით დაეკი დისციპლინური სასჯელი.

ᲚᲝᲒᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲖᲗᲘ „კომუნისტის“ მკითხველი ლ. ალადაშვილი რედაქციას სწერდა, ოლიფიანის რაიონის სასახლეო სასამართლომ დანაშაულის გიგი არჩიოლის ძე ჯიკაძეს ბ. ლომბიერი სასჯელი გამოუტანაო.

აი, რა მოსწერა ამის თაობაზე რედაქციას რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ, იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩველმა ვ. ოსიფლიანმა:

გიგი არჩილის ძე ჯიკაძე, ვილს მხკავრი დაედო ამისთვის, რომ მან 1981 წლის 29 ივნ. ვარს ქალაქ ზუნარში სტალინის ქუჩაზე დაარღვია ბოძრობის წესები და ავტომანქანა „ზილ-კვიჩი“ დაეჯახა, გუნამ ალეს ძე ალადაშვილს, რომელიც ამავე დღეს გარდაიცვალა წნორის ს. ავადმყოფოში...

სიღნაღის რაიონის სახალო სასამართლოს განაჩენი გ. ა. ჯაჯიხიშვილის მიმართ (სახელის ს. წილში) სწორად არ მიეჩინეთ. ამიტომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში შევიტანეთ პროტესტი ჯ. ნაჩენისა და განჩინების გასაუქმებლად.

ᲪᲘᲕ ᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ?..

ᲜᲐᲗᲘᲒᲐᲛᲘᲐ — გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ და ნურც გვიწყენთ, თუ ართანდან თბილისში გელაპარაკებთო.

ჩვენს წერილს რომ წაიკითხავთ, ალბათ, იტყვით, თქვე ფალაცალებო, თელავი უფრო ახლოა, ჯერ რაიონის ხელმძღვანელობისათვის მიგემართათო. მართალი ბრძანებაა, მაგრამ თუ ხელმძღვანელებს უკვე თავი მოვაბეზრეთ, კარგად იცით ჩვენი გასაჭირი და მხოლოდ დაპრანებით გვკვებავენ, თუ მარტო რედაქციის იმედიც დაგვრჩა, მაშინ? ისე რმმ, მეტი გზა არ არის, უნდა მოგვისმინოთ:

ჩვენი სოფელი კავკასიონის ძირშია გაშენებული, ზემოდან გულზეიდი მთები დაგეყურებენ და მოწმენი არიან ჩვენი გაჭირვებისა. მთებიდან ჩამოსადენი

თოკლის, ნადმობი ბუნებრივი წყლები სოფლის თავში ერთდებიან და ხანდახან აქაურობა ლამის წალეკონ. აბა, დაგიყვრდით, როგორი სქმეა, კაცს გეშინოდეს, წყალმა არ წამიოსოს და უწყლობით ყელი გიშრეტდეს. სამუშაოდან მოსულს სალოცი თითის გადაბანის საშუალება არა გვაქვს. სოფელი კი ღონეირია, ჩვენი კოლმეურნეობა მლიონებს ოფლის...

1974 წელს მეზობელი სოფლის, სანიორის კოლმეურნეობასთან შეგვაერთეს. გაგვიხარდა, რადგან გავიგონოთ: ძალა ერთობაა. ვიფიქრეთ, ახლა კი ეშველება ჩვენს გაჭირვებას, მაგრამ სად იყავი, ვინა ვნახა, სოფელი გერის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ართანსა და სანიორის მშრომელების საყოფაცხოვრებო და ელტურული პირობები ისე დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ჩვენსა და იმათ ონკანებში მომდინარე წყლის დებრტი. იმათ იმდენი სასმელი წყალი აქვთ (განა გვშურს, ღმერთსაც მოუცია და კაცსაც), რომ სარწყავადაც კი იყენებენ. ჩვენთან კი საცოდავად, ღაწლის სიმსხო ჩამოწასწყარებს, ცოდვით არც კი დაილევა.

აბანოს ეულოსათვის სამ კილომეტრზე, სანიორაში მიდიხართ და ხშირად იქიდან ნამეტანი დამეირებულები ებრუნდებით. ისეთ რამეს გაგვგონენებენ ხოლმე, რომ იქ წასვლას წყარიში ბანაობა გვირჩევნია, მაგრამ ის ოხერი ზამთარში ძალიან ცივი მოდინება.

ამას წინათ თავს ძალა დავატანეთ და სანიორის აბანოში წავედით. ფეხი უკან გვრჩებოდა და აკი აგვიცახადდა კიდეც. ჩვენ რომ დაგვინახა, ერთმა სანიორელმა, მოლარეს გადასძახა:

— ჯერ ჩვენ გაგვატარე, ართანელებმა დღეს რომ არ ბანაონ, რა უქირს, ხვალაც ამ თვისაა...

რა უნდა გვექნა? გავჩოქდით, ვიდექით ასე თავლაფდასმულები ამ იმედით, რომ როგორმე შევიდოდით და ლიფს აბანოში ჩამოვიბანდით. ეს იყო ჩვენი სათქმელი, ახლა სიტყვა თქვენზეა.

ძვირფასო რედაქციავ, ჩვენს წერილს თუ დაბეჭდავთ, რა თქმა უნდა, 32 კაცის გვარსა და სახელს ვერ მოაწერთ, არადა, გამორჩეული უხერხულია, წერილი კოლექტიური ნაწერია, ჩვენ ყველა ერთ ბედს ... ქვეშ ვართ. თუმცა როგორც ვგებოთ, ესიც თქვენთვის მოგვიწდია, სიმართლე, სანეელ-საკმეველი გზას არ დაკარგავ.

Ლ. ᲩᲐᲩᲐᲣᲠᲘ, Ი. ᲯᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ა. ᲛᲐᲛᲣᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

Გ. ᲚᲝᲛᲑᲝᲘᲫᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲒᲘ.

ᲣᲡᲣᲚᲒᲣᲚᲝ ᲨᲔᲛᲙᲘᲗᲮᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲕ, ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის, მაგრამ იძულებული ვარ მოგმართოთ, რათა თქვენი დახმარებით ინერგს ეპოვო სამართალი.

1980 წლის 10 დეკემბერს შეკეთილ ტელევიზორი „ელექტრონიკა-401“, შინ მოტანისთანავე ჩავრთე და არ უჩვენა, ეტყობა, მაღაზიიდანვე უხარისხო ტელევიზორი გამომატანეს. მეორე დღესვე ვაცნობე ეს მაღაზიას. მითხრეს: ვინაიდან ტელევიზორის პასპორტში ბეჭედი ჩარტყმული, უკან ვერ მივიღებთ, თუ ტელევიზორის უხარისხობის შესახებ შემკეთებელი სახელოსნოს ცნობა არ გექნებათო, და მიმასწავლეს ავკაცის „ბატეცილზე № 15-ში მდებარე საყოფაცხოვრებო კომბინატი. მივმართე კომბინატს. სახელოსნოში გასინჯეს ტელევიზორი და თქვეს, დეტალი დაზიანებული, ქარხნიდან გამოვითხოვთ და გავაკეთებთო. 11 დეკემბრიდან 20 იანვრამდე იდო ტელევიზორი სახელოსნოში. დეტალის მიღების შემდეგ გაკეთეს და შინ მოვიტანეს. გვიხაროდა, მაგრამ ჩვენი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, ისევ გაფუჭდა და მაშინვე წავიღე სახელოსნოში. ახლა სხვა დეტალი აღმოჩნდა უვარგისი, თვეობით ლოდინის შემდეგ კვლავ მიიღეს მოსკოვის ქარხნიდან დეტალი და გაკეთეს. სამი დღის მუშაობის შემდეგ ისევ გაფუჭდა...

ახლა უკვე მეხუთეჯერ შეკეთეს ტელევიზორი და მაინც არ მაძლევენ ცნობას მისი უვარგისობის შესახებ. მთელი წლის მანძილზე ოჯახში გაუთავებელი უსიამოვნება გვქონდა, ერთი მხრივ, ტელევიზორის სახელოსნოში მიტანა-მოტანის და, მეორე მხრივ, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის დირექტორისა და მისი მოხელეების უსულგულო დამოკიდებულების გამო. მპირდებოდნენ, როცა ხუთჯერ გაფუჭდება, ცნობას მერე მოგცემთო და მეხუთეჯერ მიტანის შემდეგ ასე მიპასუხა დირექტორმა ტაბიძემ: „ქალო, ტელევიზორი მუშაობს და როგორ მოგცე ცნობა, ამის ღირებულებას მე ხომ არ გადაიხდიო“.

ძვირფასო რედაქციავ, გთხოვთ, დამეხმაროთ, გამარკვიოთ თუ რისთვის არსებობს საგარანტიო ვადა? ნუთუ სიცრუეა ეს? ეს თუ მართალ სიცრუეა, მაშინ გამოდის, რომ ხალხს ატყუებენ, უვარგის ნივთს უკეთებენ რეკლამად „გარანტიას“. მოქალაქე კი იმ იმედით, რომ უვარგისობის შემთხვევაში საგნის ღირებულება არ დაეკარგება, ყიდულობს ტელევიზორია ის, თუ სხვა რამ.

Ა. ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲥᲕᲐᲜᲩᲮᲐᲫᲔ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ:

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ა. მძინარაშვილ-ქვანჭახაძის მიერ რედაქციაში გამოგზავნილი ეს წერილი მცირე შემოკლებით დავბეჭდეთ, რათა დღის სინათლეზე გამოგვეტანა ადამიანისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტი. თბილისის ავჭალის გზატკეცილის № 15-ში მდებარე კომბინატში, როგორც წერილიდან ჩანს, ისე აწვალებ მოქალაქე, რომ მთელი წლის განმავლობაში ნერვები ჰქონდათ აშლილი მას და მისი ოჯახის წევრებსაც. დაზიანებული ტელევიზორის უვარგისობის თაობაზე, რომელიც თბილისის რადიო-ტელე მომსახურების გაერთიანების აღნიშნული კომბინატის სახელოსნოში თვეობით იდო, უნდა გაცემულიყო სათანადო სახუთი, ვინაიდან გარანტიის მქონე საქონლის ვაჭრობის წესებში გარკვეული წერია: შავ-თეთრი გამოსახულების ტელევიზორების გამოცვლა მყიდველთა მოთხოვნის შესაბამად შეიძლება, თუ დამამზადებელი ბუარმო ან საგარანტიო შემკეთებელი სახელოსნო მყიდველის მიმართვიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ გამოვლენილი დაზიანების აღმოფხვრას.

